საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 248/2

2025 წლის 14 ნოემბერი ქ. თბილისი

ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილებებისა და დამატებების

შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63 მუხლის,

,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-20 მუხლის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 7 ივლისის № 05/91 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-12 მუხლის, მე-20 მუხლის 1-ლი ნაწილის „დ" ქვეპუნქტისა და სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი უნივერსიტეტის მართვის ორგანოების არჩევისა და დანიშვნის წესის მე-3 მუხლის 3.1. და 3.2. ქვეპუნქტებისა და მე-9 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეტანილ იქნეს სწორება სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2025 წლის 12 ნოემბრის № 244/2 აკადემიური საბჭოს წევრების არჩევნების გამოცხადების შესახებ ბრძანებაში:

მოხდეს სწორება და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

1.1. გამოცხადდეს სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრების არჩევნები - ფარული კენჭისყრა ჩატარდეს 2025 წლის 02 დეკემბერს, უნივერსიტეტის I კორპუსში, მისამართზე: რუსთაველის გამზ. № 19 .

1.2. უნივერსიტეტის წესდებით განსაზღვრული წესის დაცვით არჩეულ იქნას აკადემიური საბჭოს 9 წევრი:

- დრამის ფაკულტეტი - 3 წევრი;
- კინო-ტელე ფაკულტეტი - 3 წევრი;
- სახელოვნებო მეცნიერებების, მედიისა და მენეჯმენტის ფაკულტეტი - 3 წევრი;

1.3. აკადემიური საბჭოს არჩევნების ჩატარების ორგანიზება დაევალოს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიას.

1.4. არჩევნებში მონაწილე კანდიდატთა რეგისტრაციის ვადა განისაზღვროს: 2025 წლის 17 ნოემბრიდან 2025 წლის 28 ნოემბრის ჩათვლით.

1.5. განცხადებების მიღება იწარმოებს საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის შესაბამის ფაკულტეტებზე შემდეგ მისამართებზე:

- I კორპუსი, რუსთაველის გამზ. 19 (დრამის ფაკულტეტი)
- II კორპუსი, დავით აღმაშენებლის გამზირი, № 40, (კინო-ტელე ფაკულტეტი; სახელოვნებო, მეცნიერების, მედიისა და მენეჯმენტის ფაკულტეტი)

1.6. ბრძანების გამოქვეყნება და კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს კადრების და კანცელარიის სამსახურს.

1.7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში, მისი გაცნობიდან 1 თვის ვადაში, შემდეგ მისამართზე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი № 64.

გიორგი შალუტაშვილი

რ ე ქ ტ ო რ ი